№ 185

შაბათი, 28 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227


ტფილისი


1877—1899

# ივერია

№ 185

შაბათი, 28 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.


„ივერიის" ტელეფონი № 227


## პირველ სექტემბრიდგან გაიხსნება „ტფილისის კერძო სამკურნალო მკურნალის მიხ. გედევანიშვილისა"

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21 („ივერიის" რედაქციის გვერდით). სამკურნალოს შემდეგი მკურნალები ჰყავს მოწვეული: ადამიანი, ზევთაზევოვი, დ. გედევანიშვილი, ვშელიშვილი, დ. ერისთავი, ვაწაძე, ი. თუმანიშვილი, მალალაშვილი, მახვილაძე, მულინი, სოზესტიანსკი, ცარსაიძე, უმიკოვი, შატილოვი, ჩუდნოვსკი და ჭიჭინაძე.

(3—6.—2) სამკურნალოს დირექტორი **მიხეილ გედევანიშვილი**

სასწავლებელი და პანსიონი

## გ. ლ. კუზანოვისა

ბებუთოვის ქუჩა (უწინდელი სადავოი) სოლოლაკში, სახლი ექიმის ქოჩორიანცისა № 50.

ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, კადეტთა კორპუსებსა და სხვაგან შესავანად.

მოსწავლეების მიღება პანსიონში მოხდება 24 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (7—139—5)

## „შრომის"

ხელოსანთა ამხანაგობის საზოგადო კრება რადგან 22 აგვისტოს არ შესდგა, უკანასკნელად დანიშნულია კვირას, 29 აგვისტოს, დილის 10 საათზედ.

საგანი კრებისა:

1) $1/2$ წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

3) სახელოსნოს გაფართოვებისათვის ს ქირო ლონისძიებათა შესახებ მოლაპარაკება. (3—134—2)

ქ. ქუთაისში

## პიანისტკა

რ. მატროსოვიჩი,

რომელმაც გაათავა ვენის კონსერვატორია, ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას.

**ადრესი:** ნემსაძის სახლი, სადაც ცხოვრობ სანყენერი ა. გ. ცეიტლინი (რკინის გზის სადგურის ახლოს). (15—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარამეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

**ნემენცევის ბაღში**

ქართული წარმოდგენა.

კვირას, 29 აგვისტოს,

ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნება

## ხათაბალა

კომ. 4 მოქმ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გარელისა, რჩეულოვისა, ქსნისპირელი, გავახელი. ბ-ნნი საფაროვი, იმედაშვილი, ურუშაძე, მერაბიშვილი, ახალპირელი და სხვანი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი 20 კაპ.—1 მ. 50 კ.

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

გამგე შ. საფაროვი


## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, საღამოს ხუთს საათზედ, ტფილისში ჩამოვიდა თვისის ამალით ბუხარის ემირი, რომელიც დარჩება აქ რამდენსამე დღეს.

*** მთავარ მართებლის კანცელარია და სამხედრო-საერო სამმართველო 25 აგვისტოს ტფილისში გადმოვიდნენ კოჯორიდგან.

*** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილება ამ ჟამადამთავრებს პროექტების შედგენას შემდეგის ხიდების ასაშენებლად: მდ. მტკვარზედ—სოფ. აწყურსა, ხერთვისსა და მუსთან; მდ. ტანაზედ—სოფ. ხიდისთავში; მდ. სურამელაზედ—დ. სურამში და მდ. ჩხირემულაზედ — გორი ცხვინვალის გზაზედ.

*** მთავრობის მიერ ნება-დართულ იქმნა მოქმედება დაიწყოს რუსეთის იმპერიაში ინგლისელ მეაქციეთა საზოგადოებამ, სახელწოდებით: „კავკასიის ნავთის მწარმოებელი საზოგადოება". უმაღლესად დამტკიცებულ პირობების ძალით საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს ოზურგეთის მაზრაში.

*** კავკასიის მომავალ სამეურნეო-სამოსწავლო სამეცნიერო გამოფენის გამმართველ კომიტეტში მთავარ-მართებელმა თავისს წარმომადგენლად დაჰნიშნა თავისი საგანგებო მინდობილებათა მოხელე ნადვ. სოვ. თავ. პ. ა. გრუზინსკი.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ თქვენი მოსაზრება იმის შესახებ, მიეცეთ თუ არა ნაძალადევში დაახლებულთ მათ მიერ მითვისებულ ანუ იჯარით აღებულ ადგილების შესყიდვის უფლებაო. ამ წინადადების გამო ქალაქის მოურავის მოადგილემ შეატყობინა გუბერნატორს, რომ ეს საგანი რამდენჯერმე განიხილა საბჭომ, მაგრამ არც ერთხელ არ შეიწყნარა იგი, რადგან ქალაქისათვის გაცილებით უფრო ხელ-საყრელია იჯარით გასცეს ნაძალადევის ადგილები და ამასთან გადაჭრით განაცხადა წინააღმდეგობა ნაძალადეველებზედ ადგილების გაყიდვისა.

*** ტფილისის ქალაქის მოურავი 26 აგვისტოს ტფილისში დაბრუნდა საზღვარ გარეთიდგან და გუშინ თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

*** საბადოსნო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა აღარ გამართოს წელს ქუთაისში ბაღეულობის გამოფენა და გადასდოს იგი შემდეგის დროისათვის. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა კრების მოწვევას დამდეგს შემოდგომაზედ ამ საქმისათვის ადმინისტრაციის მხრივ დაბრკოლება არ არსებობს.

*** ამ მოკლე ხანში კავკასიაში მოვლენ სამეცნიერო აზრ თ: საფრანგეთის სააპელაციო პალატის ადვოკატი ბორდო და ინჟინერი ლინდებომი, რომელიც გამოგზავნილია რუსეთში, „ლიონის კრედიტის" საფინანსო განყოფილების-მიერ.

*** 25 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ განიხილა სასანიტარო კომისიის ორი შუამდგომლობა. პირველი შუამდგომლობა იმას შეიცავდა, რომ

## ფელეტონი

—

**უცხოთა შორის**

კიდევ დედათა კონგრესი.—ქალების მდგომარეობა ამერიკაში ამ 50 წლის წინად და ეხლა.—ახალი ზელანდია.—ჟურნალისტი—ქალები.—თეატრი ამერიკაში.— წარმოდგენები. — შესანიშნავი არტისტები.

თუმცა ორ თვეზედ მეტია, რაც დედათა კონგრესი დასრულდა ლონდონში, მაგრამ გაზეთები და ჟურნალები ჯერ კიდევ ბევრს სწერენ და ბევრ რასმეს იუწყებიან ამ კონგრესის შესახებ. ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა საუბარი ამის გამო, მაგრამ ხელ-ახლა გვსურს დაუბრუნდეთ ამ საგანს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი მეტად საყურადღებო და საინტერესოა, მეორე კიდევ, როგორცა ვსთქვით, გაზეთებმა მრავალი ახალი რამ მოიტანეს.

უმთავრესად ეს კონგრესი საყურადღებო იმით იყო, რომ თავი მოუყარა სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ქალებს, წოდებისა და ხარისხის განურჩევლად. წარმომადგენლები ჰყავდა კონგრესზედ არა მარტო იმ სახელმწიფოებს, სადაც დედათა საერო საბჭოები არსებობს (ასეთი სახელმწიფო ამ ჟამად ათია: შეერთებული შტატები, გერმანია, შვეცია, ინგლისი, დანია, ჰოლანდია, ახალი ვალისი, კანადა, ახალი ზელანდია და ტასმანია,—ეს უკანასკნელი ოთხი თუმცა ინგლისის იმპერიის ახალშენებად ითვლებიან, მაგრამ შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოებს წარმოადგენენ), არამედ სხვათაც, როგორც, მაგალითად, იტალიას, ავსტრიას, რუსეთს, საფრანგეთს, შვეიცარიას, ნორვეგიას არგენტინას, ბელგიას, ჩინეთს, სპარსეთს, ინდოეთს კვისლენდსა და მრავალ სხვას. კონგრესის წევრთა რიცხვი 2,500 აღემატებოდა. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ამ კონგრესში ერთ ნაირი მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა წოდებისა და ყველა ნაირის ხელობის ქალებმა: მდიდრებმა და ღარიბებმა, ჰერცოგების, თავადების, გრაფების ცოლებმა და ქარხნის უბრალო მუშებმა.

კონგრესმა სულ შვიდი დღე გასტანა და ამ შვიდის დღის განმავლობაში წაკითხულ იქმნა 250 რეფერატი. რეფერანტები, რასაკვირველია, უმთავრესად ქალთა მოძრაობას შეეხნენ და იმას, თუ თვითეულ სახელმწიფოში ქალებმა თავიანთ სასარგებლოდ რა გააკეთეს და რა უფლებების მოპოება შესძლეს. როგორც ამ რეფერატებიდგანა სჩანს, ბევრგან ქალების ბრძოლამ არამც თუ ფუჭად არ ჩაიარა, არამედ თვალსაჩინო ნაყოფიც მოიტანა.

— ამ სამოცის წლის წინად, როდესაც მე სულ ახალგაზდა ქალი ვიყავი,—უთქვამს კონგრესზედ ამერიკელ მოღვაწე ქალს, 78 წლის მოხუცს სუსანა ანტონის,—ქალებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ. ასე გასინჯეთ, ქალს მაშინ საჯაროდ სიტყვის წარმოთქმაც-კი არ შეეძლო. კარგად მახსოვს, რა გაკვირვება და განცვიფრება გამოიწვია ჩემმა პირველმა სიტყვამ. ეს ამბავი ამ 50 წლის წინად მოხდა. როჩესტერში მასწავლებელთა კრება იყო. თავი მოიყარა 1500 მასწავლებელ ქალსა კაცზედ მეტმა. მამაკაცები, რასაკვირველია, წინ ისხდნენ, ჩვენ, ქალებიკი, უკან ვიყავით მიკუნჭულები. როდესაც კრება ერთს მეტად საყურადღებო საგანს შეეხო, ფეხზედ წამოვდექი და თავმჯდომარეს სიტყვის წარმოთქმის ნება ვსთხოვე. თავმჯდომარე ჩემის საქციელით ისე გაჰკვირდა, რომ თვითაც ფეხზედ წამოიჭრა, გაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალიერა, შემდეგ კრებას მიჰმართა და შეეკითხა, შეიძლება თუ არა ახალგაზდა ქალს სიტყვის წარმოთქმის ნება მივცეთო. კრებამ მხოლოდ ხანგრძლივის კამათის შემდეგ და ისიც მარტო ექვსის ხმის უმეტესობით მომცა ეს ნება. თვით მე ისე მცხვენოდა, რომ საჩქაროდ, გაკვეთილივით წარმოვსთქვი, რაც სათქმელი მქონდა და, ძალზედ გაწითლებული, დავეშვი სკამზედ. გაკვირვებული ჩემ თავს ვეკითხებოდი, ასეთი საქმე როგორ ჩავიდინე მეთქი. კრების შემდეგ მასწავლებელი ქალები თვალს არ მაშორებდნენ, ხან ერთი იშვერდა ჩემსკენ ხელს, ხან მეორე და ამბობდა: „ნეტა გაგვაგებინა ვინ არის ეს ქალი? ჩემს სიცოცხლეში არ გამომიცდია იმდენი სირცხვილი, რაც დღეს გამოვცადე მაგ ქალის მიერ წარმოთქმულ სიტყვის გამო". ასეთი თვალით უყურებდით მაშინ დედაკაცებს თვით ჩვენ ქალებივე. მაგრამ გავიდა 50 წელიწადი და დღეს სულ სხვასა ვხედავთ. ამ ჟამად ამერიკის 23 შტატის სასკოლო საბჭოებში ქალებს ამომრჩევლობის უფლება აქვთ მინიჭებული. ერთს შტატში ქალები ქალაქის თვით-მმართველობის საქმეებში იღებენ მონაწილეობას და ამავე შტატის ექვს ქალაქში ქალაქის მოურავებად და საბჭოს წევრებად მხოლოდ ქალები არიან. დასასრულ 4 შტატში ქალებს ისეთივე საპარლამენტო ამომრჩევლობის უფლება აქვთ მინიჭებული, როგორც კაცებს. გავა კიდევ 50 წელიწადი და მამაკაცნი და დედაკაცნი სრულიად გათანასწორებულნი იქმნებიან. უმთავრესი ქალებისათვის საპარლამენტო ამომრჩევლობის უფლების შეძენაა. თუ ეს უფლება შევიძინეთ, მაშინ

კომისიას ფული მიეცეს გადამდებ სენთან საბრძოლველად, სახელდობრ: ულარიბეს მცხოვრებთა ეზოების დასასუფთავებლად და სადგომების გასაუმჯობესებლად; მეორე შუამდგომლობა-კი იმას შეიცავს, რომ კომისიას ნება მიეცეს ისარგებლოს საქოს-მიერ გადადებულ ფულით სასამართლოს იმ განაჩენთა აღსასრულებლად, რომელიც სანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევას შეეხება, იმ პირობით, რომ კომისიის-მიერ დახარჯული ფული დამნაშავეთ გარდახდეთ. ორივე ეს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა.

*.* ტფილისის მეეტლეებმა ამ დღეებში საერთოდ სთხოვეს ტფილისის გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 1) შესცვალოს არსებული საეტლო სავალდებულო დადგენილებანი და აგრეთვე ამ დადგენილებათა დამრღვევთათვის წესები და 2) დაუყოვნებლივ შეადგინოს კომისია საეტლო სავალდებულო დადგენილებათა შესამუშავებლად. ამასთან თუ არჩეული კაცი და ქალაქის გამგეობა ვერ შეთანხმნენ ერთმანეთთან საეტლო ნიხრის შეცვლის საქმეში, იმ შემთხვევაში მეეტლენი შუამდგომლობენ, რომ უფლება მოგვეცით ყოვლად უნიხროდ, მორიგებისამებრ, ვატაროთ მგზავრნიო.

*.* რადგან ასტრახანის გუბერნიაში საქვო გადამდები სენი გაჩნდა, ამის გამო რკინის გზების სამმართველოს თავმჯდომარემ გზათა მინისტრის ბრძანებით წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, შესაფერი ღონისძიებანი იხმარეთ ხსენებულ სენის საწინააღმდეგოდო. ამ წინადადების გამო ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი უკვე შეუდგა თადარიგს.

*.* 27 აგვისტოს მტკვარში, რიყეზედ, ქართველიშვილის მამულის პირდაპირ ჰნახეს დამრჩვალი კაცის გვამი. ეს კაცი აღმოჩნდა ანტონ ზემენსკი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოიჯარადრის სტეპულკოვსკის ათისთავი. შაბათს ზემანსკის ფულები მიეღო მოიჯარადრისაგან მუშების მისაცემად. ამ დღიდგან ზემენსკი აღარავის უნახავს და არც არავინ იცის, გაუწორდა თუ არა იგი მუშებს. დამრჩვალის ჯიბეში, სხვათა შორის, აღმოჩნდა ფულად მხოლოდ 3 მან. და 1 კაპ.

## წერილი ახალციხიდგან

მარიამობა დღეს, 15 აგვისტოს, ჩვეულებრივი დღესასწაული იყო შესანიშნავ და უძველეს ხნის საფარის მონასტრისა, რომელიც, როგორც ვუწყით, აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში და ჯერ კიდევ იმდენად მაგარია, რომ რამდენიმე საუკუნეს გაისტუმრებს. წელს, როგორც უწინ, საფარას დიდძალი მლოცველი ხალხი იყო შეკრებილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდგან, რადგან ამ წმინდა ადგილს გავლილ შფოთიან საუკუნეებიდგან დიდი რწმენა და თაყვანისცემა აქვს მოპოებული ხალხში. წინა წლებთან შედარებით, წელს მნახველი კარგა ცვლილებას შეამჩნევდა საფარის მონასტერს. დავიწყოთ იქიდგან, რომ საფარის იდუმალი და მყუდროება დარღვეულია; მის გარშემო გალავნის შიგნით გაუშენებიათ რამდენიმე ყაზარმისებური შენობა, რომლებშიაც სცხოვრობენ ასამდე რუსი ბერი და მორჩილნი. სადგომ ბინადვე გადაუკეთებიათ გალავნის გარშემო, განკერძოებით აგებული, პატარა ეკკლესიები (მაგ. საფარის შესავალში, მარცხნით). ღვთისმშობლის უმთავრეს ეკკლესიის გუმბათს, სამრეკლოს და ზოგიერთ ძველებურ ქვის ჩარდახს ჰხურავენ თუნუქით და აგრეთვე გუმბათის უწინდელ მოგრძო სახეს მორგვალო სახისას აკეთებენ. ჩვენ ვერ მივხვდით, რამ გამოიწვია თუნუქის გადაკვრა ქვის ჩარდახებზედ. როგორც ვიცით, წყალი არსად ჩამოდიოდა და აქა-იქა ზოგან მორღვეული ქვები ოდნავ შეკეთებას თხოულობდა. თუ იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ თუნუქის ჩარდახი უფრო კედლებს არ დაამძიმებსო,—მაშინ რატომ ქვის ჩარდახი აღარ აჰყარეს.

ვეღარ ჰნახავთ აგრეთვე საფარაში შესანიშნავ ხელოვნებით ქვისაგან გაკეთებულს კანკელს, უმთავრესს და უძვირფასესს სამკაულს საფარისას. როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, ეს კანკელი ყუთებით გაუგზავნიათ მოსკოვში არქეოლოგიურ საზოგადოებისათვის (ზოგიერთის სიტყვით მუზეუმისათვის). ეს საზოგადოება პატივ სადებ და სასარგებლო დაწესებულებად მიგვაჩნია, მაგრამ ძველი ნაშთის გამოკვლევა-შესწავლისათვის ხალხის სათაყვანო ეკკლესიიდგან ნივთების წაღება არ არის კარგი.

წლევანდელ საფარობის განსხვავება კიდევ იმაში გამოიხატა რომ წინა წლებში თუ აქ მყოფთ ბერ მორჩილთ, დღე-ღამე მოსვენება არა ჰქონდათ-რომ შესაფერი დახმარება აღმოეჩინათ მოსულ მლოცველთათვის,—ეშოვათ მათთვის, ან გაეკეთებინათ, დროებითი თავ-შესაფარი—სადგომი ბინა,—წელს უკვე აშენებულ ბინებიდგან და გალავნიდგან მორჩილნი გალავანს გარეთ ერეკებოდნენ მლოცველთ,—სხვებს მოველით, ბინები სხვისთვის გვინდაო და თქვენთვის ადგილი აღარ რჩებაო. ამ ამბავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მორჩილთა და მოსულ ხალხს შორის უთანხმოება გამოიწვია და პოლიციამ გააზავა ისინი.

წლევანდლამდე ღვთისმშობლობა დღეს წირვა-ლოცვის წეს რიგი სრულდებოდა ხოლმე ქართულს ენაზედ, წელს-კი შესრულებულ იქმნა რუსულად, მლოცველთა უმეტესობას შეადგენდა ახლო მახლო სოფლებიდგან მოსული გლეხობა, რომელსაც რუსული არ ესმის, ამას გარდა, არც მარიამობის წინა ღამეს და არც შემდეგ გალავნის შიგნით ლხინ-თამაშობის ნება არ მისცეს; ეუბნებოდნენ, ახლო მდებარე ტყეებში გადით და იქ ილხინეთო.

რაც შეეხება წირვა-ლოცვის არა ქართულს ენაზედ შესრულებას, ამაში, უეჭველია, დამნაშავენი არიან გარშემო მდებარე სოფლებში მყოფი მღვდლები, რომელთაც დაიზარეს და მდაბიო ხალხს არ ეღირსეს ლოცვა სამშობლო ენაზედ. საზოგადოდ კი ვიტყვით, რომ ყველა ზემო აღნიშნულ გარემოებებში დამნაშავეა უმეტესად ახალციხის ეგრედ წოდებული, ინტელიგენცია, რომელსაც ნურასოდეს ნუ მოსთხოვთ მოქმედებას საზოგადო საქმეში. აბა მოძმის ფეხის გამოდგმას, უშვერ ჰურიკანობას და ერთმანეთის გატანლობაში გაიმართოს ჯიბრი, თუ პირველი ჯილდო ახალციხელებს არ ერგოთ.

გ. ახალციხელი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მთავრობას გადაუწყვეტია, რომ უმაღლესმა სასამართლომ გაასამართლოს უკანასკნელ რიცხვებში დატუსაღებულნი, რომელნიც სახელმწიფოს არსებულ წეს-წყობილების დარღვევას ყოფილან მოწადინებულნი, გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ გაზეთ, ანტისემიტთა საზოგადოების თავმჯდომარის—დიუბიუკის სახლში, ისეთი საბუთის ქაღალდები აღმოჩენილა, რომლებიც აშკარად ჰფენენ რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულობას. როგორც ოფიციალური ცნობები იუწყებიან, ამგვარი საბუთის ქაღალდები ძლიერ ბევრი აღმოუჩენიათ მთავრობის აგენტებს. შეთქმულობის უფრო კარგად გამოსარკვევად, განშივე გაუსინჯავთ კიდეც ბრიუნეს სახლი; იქ ნაპოვნი ქაღალდებიდგან ნათელი ცნობები შეუდგენიათ საქმის გამომძიებლებს, თუ როგორ მოქმედობდა ანტისემიტთა ლიგა და ამ უკანასკნელის განყოფილებანი პროვინციებში. ერთს წერილში, რომელიც ხსენებულ დასის კომიტეტს გაუგზავნია პარიჟიდგან, დაწვრილებითი ინსტრუქცია ყოფილა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ დასის წევრები, როცა საჭიროება მოითხოვს სახელმწიფოს არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ მოქმედებას. იმ წერილში, მაგალითად, კომიტეტი უთვლის თურმე თავისს განყოფილებას, რომ: „რა წამსაც გაცნობებთ, ჩვენ პირდაპირ ელისეს სასახლისაკენ გავეშურებით; თქვენ თქვენის მხრით პრეფექტურას უნდა მიაშუროთ" და სხ. ამხაირად, ცხადია, რომ შეთქმულობა უფრო საყურადღებო ყოფილა, ვიდრე ზოგიერთებსა ჰგონიათ, და ვიდრე ამას ამტკიცებენ მონარხისტები, ანტისემიტები და სხ. გამომძიებელს ფაბრს აგრეთვე სახლები გაუჩხრეკია და რამდენიმე კაცი დაუტუსაღებია გარეში.

— „ფიგარო"-ში დაბეჭდილი ყოფილა საფრანგეთის ინსტიტუტის წევრის—გაბრიელ მონოს წერილი იმის შესახებ, თუ როგორი საუბარი ჰქონია მას ფრეისინესთან. თქვენ კარგად უნდა იცოდეთო,—უთქვამს, სხვათა შორის, მონოს,—რომ დრეიფუსის მხოლოდ გამართლება დაამყარებს საფრანგეთში მშვიდობიანობასო. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა ამ დღეებშიო,—განაგრძვია საუბარი მონოს: „მე რომ საფრანგეთის მტერი ვიყო, ერთს რასმე ვიქნებოდი მოწადინებული: დრეიფუსი რომ ხელ-ახლა გაემტყუნნათ".

— თქვენი მოსაუბრე სრულებით მართალი არისო,—უპასუხნია ფრეისინეს,—მისი (დრეიფუსის) გამტყუნება ის იქნება, რომ ჩვენში არასოდეს არ მოისპოს განხეთქილებაო. ყველას მისი გამართლება უნდა უნდოდესო.

— ნება მიბოძეთ, ბ-ნო ფრეისინე, მოგახსენოთ, თუ როგორი ბედნიერებაა, რომ თქვენ სამუდამოდ დამარხეთ ზღაპარი სინდიკატის შესახებო,—უთქვამს მონოს.

— ჰო, დიახ, ეს სისულელეა, ეს სისულელეაო,—უპასუხნია ფრეისინეს.

**ესპანია.** ესპანიის სამხედრო აგენტად ნამყოფს პარიჟში—ბ-ნ კალკარლოს საჩივარი განუცხადებია „ფიგარო"-ს რედაქციის წინააღმდეგ იმ წერილების გამო, რომელნიც ხსენებულ გაზეთში იბეჭდებოდნენ, და რომელნიც კალკარლოსის სახელს რამდენიმედ უკავშირებდნენ დრეიფუსის საქმეს. საქმე ის არის, რომ როგორც „ფიგარო"-ს ჰქონდა მოხსენებული, ვითომც კალკარლოსს 1,200 ფრანკი გამოერთმიოს საფრანგეთის საიდუმლო ცნობების ბიუროს აგენტის—განესისთვის და აუწყებინოს მისთვის, თუ როგორ ღალატობდა ქვეყანას მეორე ბიუროში მოსამსახურე ერთი ოფიცერი. ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, და ხსენებულს გაზეთში მეორე წერილი დაიბეჭდა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ კალკარლოსი რადგან ხმას არ იღებს, ეს იმის მომასწავებელია, რომ რაც ჩვენ ვთქვით, ყველაფერი მართალიაო, და რადგან იმავე დროს ხსენებული სამხედრო აგენტი სამსახურიდგან დაითხოვა ესპანიის მთავრობამ, ეს გარემოებაც თავის მიერ

---

ყველაფერს ადვილად მივაღწევთ.

მართლაცა და საპარლამენტო ამომრჩევლობის უფლება ის ქვა-კუთხედია, რომლის მოპოებასაც უმთავრესად სცდილობენ მოწინავე სახელმწიფოების დედაკაცნი. მაგრამ ჯერ-ჯერობით მათი მეცადინეობა ამ მხრივ უმეტესს ნაწილად უნაყოფოდ რჩება: მამაკაცნი კარგადა ჰგრძნობენ, რომ ამ უფლების მინიჭებით ქალებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე უნდა გაუზიარონ და ამიტომ დიდს უარზედ დგანან. ამ უფლებას ქალებმა მხოლოდ ახალ-ზელანდიასა და, როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, ამერიკის 4 შტატში მიაღწიეს. საყურადღებოა ამ შემთხვევაში ახალი ზელანდია. როგორც ზელანდიის დელეგატის მიერ წაკითხულ მოხსენებიდგანა სჩანს, იქ ამომრჩევლობის უფლება ქალებისათვის ამ ხუთის წლის წინაც მიუნიჭებიათ.

— როდესაც პირველად ეს კანონი უნდა განხორციელებულიყო,—უთქვამს ამ დელეგატს,—მოწინააღმდეგენი იმას ამბობდნენ, რასაც ეხლა მამაკაცნი ბევრ სხვა სახელმწიფოშიაც ამბობენ: ოჯახის მყუდროება დაირღვევა, ქალები თავს მიანებებენ საკუთარ კერას, შვილებს, ოჯახურ საქმეებს, ქმარსა და შვილებს აღარავინ ეყოლება სადილის გამკეთებელი და სხვა. მაგრამ აგერ უკვე ხუთი წელიწადი გავიდა, რაც ახალი კანონი შემოვიღეთ და არაფერ ამის თანას, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერა ვხედავთ. არც ოჯახის მყუდროება დარღვეულა და არც სხვა რამ უწესოება მომხდარა. ჩვენში ეხლა ქალებსა და კაცებს ერთგვარი პოლიტიკური უფლება აქვთ მინიჭებული. ქალების წყალობით ბევრი ისეთი კანონი განხორციელდა, რომელიც წინად ამას არასოდეს არ ეღირსებოდა. საკმაოა დავასახელოთ ახალი საქარხნო კანონი, რომლითაც მთელს ზელანდიაში რვა საათის მუშაობა იქმნა დაწესებული, და ეგრედ წოდებული საპენსიო კანონი. ამ უკანასკნელ კანონის ძალით ყველა მოხუცებულ (65 წლისაზედ მეტს) მუშას პენსია ეძლევა, წელიწადში 300 მანეთი.

სხვაგან, თუმცა ამომრჩევლობის უფლება ჯერ არ მოუპოვებიათ ქალებს, მაგრამ თავიანთის მდგომარეობის გაუმჯობესობას მაინც თითქმის ყველგან ეღირსნენ. იშვიათია ისეთი ხელობა და საქმე, სადაც ქალის მონაწილეობა ეხლა სათაკილოდ და სამარცხვინოდ ითვლებოდეს, როგორც წინად იყო. ქალები დღეს არარავითარ საქმეს აღარ ერიდებიან. უფრო გულ-მოდგინედ ქალები ეგრედ წოდებულ თავისუფალ პროფესიებს მისდევენ, როგორც, მაგალითად, მკურნალობას, ჟურნალისტობას და ბევრგან ვექილობასაც. იმავე კონგრესზედ წაკითხულ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ამერიკაში ჟურნალისტობას ქალები ისევე გულ-მოდგინედ ადგანან, როგორც კაცები. სასყიდელსაც მამაკაცებზედ ნაკლებს არ იღებენ. ერთის პოლიტიკურის გაზეთის (ეს გაზეთი ჩიკაგოში იბეჭდება) თანამშრომელ ქალს, მაგალითად, წელიწადში 10,000 მანეთი აქვს ჯამაგირი. ამას წინად გარდაცვალებულს მისს მერი ბუტს, რომელიც გაზეთ „Harper's Bazar"-ის რედაქტორად იყო, წელიწადში 16,000 მანეთი ეძლეოდა. მრავლისგან მრავალია ისეთი დანამშრომელი ან რეპორტიორი ქალი, რომელსაც 1, 2, 3, 4, 5 ათასი მანეთი ეძლევა წელიწადში.

საყურადღებოა ის მოვლენა, რომ ქალებს სხვა და სხვა უფლების მოპოების საქმეში ყველაზედ მეტად მხარს უჭერენ საზოგადოდ მუშები და კერძოდ სოციალ დემოკრატები. „ჩვენ, მუშებმა, ვიცით რა არის უფლების მოპოება. იმის წყალობით ბევრს უსამართლოებას ავსცდით. თუ ჩვენთვის სასარგებლო იყო უფლების მოპოება, ეჭვი არ არის, ჩვენის ცოლებისა და დებისთვისაც სასარგებლო იქნება",—გვეუბნებიან ხოლმე მუშებიო, სთქვეს დელეგატებმა კონგრესზედ. ჰოლანდიის დელეგატს განუცხადებია, რომ ჰოლანდიაში სოციალ-დემოკრატების გარდა, ყველა სხვა დასი წინააღმდეგია იმისა, რომ ქალებს ამომრჩევლობის უფლება მიენიჭოთო.

* * *

დადგა შემოდგომა და წარმოდგენების სეზონიც მოახლოვდა; მეტი არ იქმნება ამიტომ, ფელეტონის დასასრულს, თეატრსა და წარმოდგენებსაც შევეხოთ. ამ ხანად აზრადა გვაქვს ამერიკის თეატრის შესახებ ვიქონიოთ საუბარი.

ამერიკაში არც ერთი თეატრი არ არის ისეთი, რომელსაც სამუდამო დასი ჰყვანდეს. იქ, როგორც იტალიაში, დასი ქალაქიდგან ქალაქში გადადის და წარმოდგენებს ჰმართავს. საყურადღებო უფრო კიდევ ის არის, რომ ამ დასებს წინდა-წინვე შედგენილი რეპერტუარი არა აქვთ. თვითეული დასი მხოლოდ ერთს რომელსამე პიესას ადგენს, არ გეგონოთ მარტო ორის ან სამის თვის განმავლობაში, ხშირად ერთის, ორის და სამის წლის განმავლობაშიაც.

ვსთქვათ, რომელმამე იმპრესარიომ ან ანტრეპრენერმა განიზრახა დასის შედგენა და წარმოდგენების გამართვა. უპირველესს ყოვლისა ეს იმპრესარიო იჯარით აიღებს ამერიკის უმთავრესს ქალაქების თეატრებს. ამ საქმეს სამი ან ოთხი თვე დასჭირდება. რაკი თეატრები მზად ექმნება, იმპ-

ნაუწყებ ამბის დასამტკიცებელ საბუთად გამოიყენა გაზეთმა. ამ გარემოებამ აიძულა კანცელარია რედაქციაზედ საჩივარი შეეტანა.

## სასამართლოს მატიანე

მასწავლებლის მოქმედებით შეურაცხება.

26 აგვისტოს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა ტფილისის საფერშლო სკოლის მოსწავლედ ნამყოფის აზნ. დავ. ჟორდანიას საქმე. 1894 წ. 20 თებერვალს საფერშლო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეს დ. ჟორდანიას ერთმა სკოლის ზედამხედველმა გამოუცხადა, გამორიცხული ხარ სკოლიდგან მასწავლებელ ალ. პოტემკოვსკისთან ცუდად მოპყრობის გამოო. მაშინ დ. ჟორდანია შევარდა იმ კლასში, სადაც პოტემკოვსკი მეცადინეობდა მოსწავლეებთან, და მუშტით თავსა და სხვა ადგილებში ცემა დაუწყო. ამის შემდეგ ჟორდანია ტფილისიდგან სადღაც დაიმალა და იპოვნეს მხოლოდ 1899 წლის აპრილში. ჟორდანიამ როგორც გამოძიების დროს, ისე სასამართლოს წინაშე აღიარა თვისი დანაშაული. მაგრამ მასწავლებლის გალახვის მიზეზი, როგორც სასამართლოში გამოირკვა, ჩირქსა სცხებს თვით გალახულს.

ბრალდებულმა დაახლოვებით შემდეგი სთქვა: „1893 წ. მე შევედი საფერშლო სკოლაში მე-2 კლასში; ლათინურსა და რუსულ ენაში საკმაოდ სუსტად ვსწავლობდი, რის გამო მესამე კლასში გადასვლის დროს ამ საგნების განმეორებითი ეგზამენი დამინიშნეს. ეგზამენისათვის რომ კარგად მოვმზადებულიყავი, რაც ჩემს სურვილს მით უფრო შეადგენდა, რომ მე-3 კლასში გადასვლის შემდეგ სახელმწიფო ხარჯზედ უნდა მივეღეთ, ვთხოვე პოტემკოვსკის მოვემზადებინე. ის სკოლაში ყველა საგანს ასწავლიდა და მე-3 კლასში გადასვლის დროს იმას უნდა გამოვეცადე. პოტემკოვსკი დამთანხმდა და გასამრჯელოდ 50 მან. მომთხოვა. მაგრამ როცა რამდენისამე ხნის შემდეგ ფული მივუტანე, მითხრა, საავარაკოდ მივდივართ; ხოლო ჩემი მომზადება-კი მიანდო თავისს ძმას, მიხეილის საავადმყოფოს ფერშალს, თან დამპირდა, ეგზამენების წინ ორიოდე კვირის შემდეგ დავბრუნდები, გაგიმეორებინებ გაკვეთილებს და შემდეგს კლასში გადაგიყვანო. პოტემკოვსკის ძმა ძალიან უხეიროდ მეცადინეობდა: თავისს მოვალეობას უყურადღებოდ ეკიდებოდა და ხანდახან სულაც არ მაძლევდა გაკვეთილს. ეგზამენებამდე რამდენისამე დღით წინ ჩამოვიდა პოტემკოვსკი, გამომცადა ლათინურ ენაში და დარწმუნდა, რომ სრულიად მოუმზადებელი ვიყავი. ამის მიუხედავად, მან მიბრძანა, ეგზამენისათვის დაისწავლე 10 ლათინური სიტყვა (ავადმყოფობის სახელები) იმ 360 სიტყვის ნაცვლად, რომლებიც მე უთუოდ უნდა მცოდნოდა და გამოცდის დროს სწორედ ამ 10 სიტყვას გკითხავო. ჩემდა საუბედუროდ, გამოცდას დაესწრნენ ასისტენტებიც, რომელთაც თვითონ მომცეს კითხვები. მე ეგზამენი ვერ გარდავიხადე და დამტოვეს იმავე კლასში. ამ შემთხვევით უკმაყოფილომ ნაცნობის პირით პოტემკოვსკის 50 მანეთის დაბრუნება ვსთხოვე, რადგან ნამდვილად ჩემთან არავის უმეცადინია; პოტემკოვსკიმ-კი იწყინა მისის შეუფერებელის საქციელის გამომჟღავნება და დამიწყო სასტიკად მოქცევა. ერთხელ პოტემკოვსკიმ ლათინურის ენის გაკვეთილზედ მოსწავლეთ წინადადება მისცა, ლათინურად გადამითარგმნეთ სიტყვა „ბნედაო“. არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა ამ სენის სახელი ლათინურად; მე-კი, თუმცა თითიც ავწიე, ვდგებოდი და ვჯდებოდი, რომ ყურადღება მიმექცია,—მაინც არ მკითხა. მაშინ პირდაპირ ვთხოვე, მკითხე მეთქი, მაგრამ მან ყვირილი დამიწყო და კლასიდგან გამომაგდო. შემდეგს გაკვეთილზედ მე თავისს დროზედ შევედი კლასში, მაგრამ პოტემკოვსკიმ დამინახა თუ არა, კიდევ ყვირილი დამიწყო, გამომაგდო ოთახიდგან და მითხრა, აღარ მოხვიდე გაკვეთილებზედაო. ამის შემდეგ ზედამხედველმა გამომიცხადა, პოტემკოვსკის მეცადინეობით სრულიად გითხოვენ სკოლიდგანაო. მას უკან სკოლის ინსპექტორმა ლორის მელიქოვმა მიბრძანა, კლასში შედი, მეც იქ მოვალ და ყველაფერს მოვარიგებო. მაგრამ შევედი თუ არა კლასში, პოტემკოვსკიმ ისევ ყვირილი დაიწყო, კათედრაზედ ჯოხის ცემა ასტეხა და დამემუქრა, კლასიდგან გადი, თორემ ახლავე გაგსრესო. პოტემკოვსკის საქციელით მოთმინებიდგან გამოსულმა და გამწვავებულმა ხელი ვტაცე და ერთი დავარტყი, მაგრამ პოტემკოვსკიმ ერთი-სამად გარდამიხადა: დამიწყო საშინლად ცემა, წამაქცია იატაკზედ და 20 ჯერ დამარტყა მუშტი სხეულის სხვა და სხვა ადგილას“.

რადგან ბრალდებულის სიტყვები არ ეწინააღმდეგებოდა გამოძიების საბუთებს, ამის გამო მოწმენი განთავისუფლებულ იქმნენ ჩვენების მიცემისაგან, სღმრთო სჯულის მასწავლების მღვდ. კარბელაშვილის გარდა, რომელმაც აჩვენა, ჟორდანია ბეჯითი, წყნარი და, საზოგადოდ, კარგი მოსწავლე იყოო.

ბრალდებულის დამცველმა ნაფ. ვექ. ტურკევიჩმა დაახასიათა პოტემკოვსკის დამოკიდებულება ბრალდებულთან და შეჰნიშნა, ჟორდანია პოტემკოვსკის უსამართლო მოპყრობისაგან მეტის-მეტად გამწვავებულა და ამის გამო ჩაუდენია ეგ საქციელიო.

ოლქის სასამართლომ, მცირეოდენის თათბირის შემდეგ, განაჩენი დაადგინა, რომლითაც ჟორდანიას გარდაწყვეტილი აქვს უმცირესი სასჯელი: 26 დღით დაპატიმრება.

## დამაკვარდა

მიყვარს სმენა ჭკუიანთა, ბრძენთა და მეცნიერთა, და სმენილის განხილვა გონებით და განაწილება: და იმად, რაჲ არს კეთილ და სარწმუნო, და იმად, რაჲ მიჩნს დრკუდ და არა სარწმუნოდ.

ლასურიძე

* *

პატივსა და თაყვანს ვცემ მასწავლებელსა ჩემსა, ვინაითგან მას ერთბამად შეხორცებულ აქვს სიბრწყინვალე გონებისა, სიწმიდე სულისა და სიშვენიერე ზნეობისა და ზრდილობისა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ქ-ნი დრეც ტიკეს თანამედროვე იყო (იხილე გუშინდელი ნომერი „ივერიისა“). იგი უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნოდა და სოფლის სილამაზის პატრონი იყო. დრეს დიდი კავშირი ჰქონდა სხვა და სხვა მკითხავთან, უფრო კი დაახლოვებული იყო ქალისთან. საწამლავებს და სხვა რამეს ამ ქალისაგან შოულობდა. დრემ ჯერ რამდენიმე თავისი საყვარელი მოსწამლა. როგორც თვითონ განაცხადა შემდეგ, ერთის საყვარლისა თურმე ხასიათი არ მოსწონდა და ამის გამო გამოასალმა იგი წუთისოფელს, მეორესთან „კავშირის დარღვევა ეძნელებოდა“ და სხვა. ბოლოს დრემ თავისს ქმრის მოწამვლა მოიწადინა, მაგრამ ყველაფერი გაუგეს და დააპატიმრეს. როდესაც ქალაქში დრეს მიერ ჩადენილი ოინები გავრცელდა, პარიჟის უმაღლესმა საზოგადოებამ გაკიცხვის ნაცვლად დრე მეტად მოხერხებულ და ჭკვიან ქალად სცნო. იმისი ქმარი ყველამ სასაცილოდ აიგდო. ქალის მიერ ჩადენილი ოინები დანაშაულობად არავინ ჩასთვალა. ასევე შეხედა ამ საქმეს თვით „სისხლის პალატამაც“ და ქ-ნი დრე სრულიად გაამართლა. რამდენად დაცემული იყო მაშინდელი საზოგადოება, იქიდგანა სჩანს, რომ განთავისუფლებულ დრეს ყველანი სიხარულით მიეგებნენ, ყველგან ალტაცებით იღებდნენ, ყველა მოწადინებული იყო ამ ქალთან ნაცნობობას. რასაკვირველია, დრე ამან უფრო გაათამამა და არამც-თუ მოწამლვას თავი არ გაანება, უფრო გულ-მოდგინედ მიჰყო ხელი ამ საქმეს. ამ ჟამად თავისს ერთის საყვარლის ცოლის გასტუმრება მოიწადინა საიქიოს. საწამლავი იმავე მკითხავის ქალისაგან მიიღო. მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ეს ქალი დააპატიმრეს. გამოძიების დროს ქალიმ გასცა დრე და ყოველივე გამოაშკარავა. დრემ მეგობრების წყალობით შეიტყო ეს ამბავი და დროზედ მოასწრო საფრანგეთიდგან გაქცევა. სასამართლო მაინც შეუდგა იმის საქმის განხილვას. საყურადღებოა ის, რომ როგორც ქმარმა, აგრეთვე ქალის ერთმა საყვარელმა, გვარად რიშელიემ, შუამდგომლობა აღძრეს მეფის წინაშე იმის შესახებ, რომ დრესთვის დანაშაულობა ეპატიებინა. მეფემაც აპატია და პარიჟში ცხოვრების ნება დართო!..

დრეზედ არა ნაკლებ შესანიშნავი იყო ქ-ნი ლეფფონი, უკვე ხანში შესული ქალი. თუმცა იმის ქმარს კარგის, მშრომელის და მუყაითის კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ცოლს მაინც არ მოსწონდა იგი. „მომწყინდა ჩემი ქმარიო“—ხშირად ამბობდა ხოლმე ქ-ნი ლეფფონი. უთუოდ იმიტომ, რომ ქმარი ძალიან მოსაწყენი კაცი იყო, ქ-ნ ლეფფონს, უკვე 50 წლის ქალს, შეუყვარდა ახალგაზდა კაცი, ვინმე პრადი, რომელიც კარგა ხანია ქ-ნ ლეფფონის ჯიბისაკენ თვალებს აჭყეტავდა თურმე. ბოლოს შეყვარებულთ შესანიშნავ მკითხავს ვოაზენს მიჰმართეს: ლეფფონმა შხამისათვის ქმრის მოსაწამლავად, ხოლო პრადმა იმიტომ, რომ ლეფფონის გულში უფრო მეტი სიყვარული ჩაენერგებინა თავისდა მიმართ. პირველმა შხამით სავსე შუშა მიიღო, მეორემ „შელოცვილი სანთელი“. შხამმა, რასაკვირველია, ძალა მალე გამოიჩინა: ორის თვის შემდეგ ბ-ნი ლეფფონი გაემგზავრა იქ, სადაც „დღეს არა, ხვალ მაინც უნდა გამგზავრებულიყო“, როგორც თვითონ იმისმა პატივცემულმა მეუღლემ განაცხადა შემდეგ. პრადი და ქვრივი დაქორწინდნენ. პირველ ხანს საქმე კარგად მიდიოდა. პრადი დილით საღამომდე დაარბევინებდა მშვენიერ ცხენებით შებმულ ეტლს პარიჟის ქუჩებში და ქეიფსა და ლხინში ატარებდა დროს. მაგრამ სიხარულის დღეებმა მალე გაიარეს. ცოლი მიხვდა, რომ პრადმა მარტო ფულის გულისთვის შეირთო და ჯავრის ამოსაყრელად ხელ-ახლა საწამლავს დაუწყო ძებნა. ქმარიც კარგა ჰხედავდა ცოლის განზრახვას და ყური მარჯვედ დაიჭირა. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა პრადიმ ერთ მშვენიერ დღეს თავისი ცოლი დაასმინა და აცნობა პოლიციას როგორც ბ-ნ ლეფფონის მოწამვლის ამბავი, აგრეთვე ქალის ახალი განზრახვაც. ამასთან პრადმა საფრანგეთს თავი მიანება და ოსმალეთისაკენ მოუსვა. ამ რიგად ქ-ნი ლეფფონი „სისხლის პალატის“ წინაშე წარსდგა. თუმცა ლეფფონის დანაშაულობა მოწმეთა ჩვენებით აშკარად გამოირკვა, მაგრამ პალატამ მარტო პარიჟის საგრაფოდგან განდევნა და 1500 ლივრის ჯარიმის გარდახდა მიუსაჯა.

## ღია წერილი

ბ-ნ ი. ხოსიტაშვილის მიმართ.

ბ-ნო იროდიონ! წავიკითხე თქვენი წერილი („ივერია“ № 178), რომელშიაც თქვენ გარეგნობით ვითომც ბ-ნ დამსწრის შეცდომებს ასწორებთ, რომელიც მას, თქვენის აზრით, შეჰპარვია მაზრაანის დეპოს წლიური კრების ანგარიშში („ივერია“ № 176). მაგრამ თქვენი ნამდვილი გულის წადილი კი სულ სხვა ყოფილა: თქვენ გდომებიათ პირადად ჩემი ზნეობრივი სახის შემწიკვლა-შელახვა და ამ დამამცირებელ გრძნობას იმ ზომამდე გაუტაცნიხართ, რომ თვით საზოგადო კრებასაც შეურაცხებას აყენებთ. თქვენ ბრძანებთ: „არც მე და არც გამგეობის დანარჩენ ორ წევრს არ მიგვიღია მონაწილეობა წლიური ანგარიშის შედგენაში, რადგანაც არ ვიყავით მიწვეულებიო (გურსიკი უკვე გან ჩვენია), ხოლო გის შეა-

---

რეპერტუარი დასის შედგენას შეუდგება. ამასაც სულ ცოტა ოთხი ხუთი თვე უნდა, რადგანაც არტისტები სხვა და სხვა ქალაქში არიან გაფანტულნი. ესეც არ იყოს, ბევრი არტისტი სხვა ანტრეპრენერთან არის და მაშინვე თავს ვერ გაანებებს. ამავე დროს იმპრესარიო ამზადებს ტანისამოსს, დეკორაციებს და საზოგადოდ ყველა იმას, რაც-კი სცენისა და წარმოდგენისათვის არის საჭირო. შემდეგ ერთის ან ორის თვით ადრე წარმოდგენების დაწყებამდე იმპრესარიო რეკლამას შეუდგება. რეკლამა ამერიკაში უმთავრესია. არც ერთი იმპრესარიო წარმოდგენების გამართვას არ დაიწყებს, ვიდრე საზოგადოებას არ დააინტერესებს. ამიტომ მომავალის წარმოდგენების განცხადებას ყველგან შეხვდებით: ბოძებზედ, სახლების კედლებზედ, რკინის გზის ვაგონებში, მაღაზიებში და სხვაგან. თუ პიესა ახალია, იმპრესარიო მრავალ წერილებს აბეჭდვინებს გაზეთებში პიესის შესახებ. ამ წერილებში სიმართლესა და ჭეშმარიტებას არ დაგიდევენ: საჭიროა მხოლოდ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს, გაიგოს, რომ ამა და ამ დღიდგან ახალის პიესის წარმოდგენას შეუდგებიან.

ზაფხულის გასულს დასი რეპეტიციებს იწყობს. ჩვეულებრივ რეპეტიციები თვე ნახევარს ან ორ თვეს გასტანს ხოლმე, მაგრამ არის ისეთი პიესაც, რომლის რეპეტიციას ოთხი-ხუთი თვე უნდებიან. რაც უნდა უმნიშვნელო პიესა იყოს, დასი წარმოდგენების გამართვას მანამდე არ შეუდგება, ვიდრე ყველა არტისტი საუკეთესოდ არ მოემზადება. როლები ყველამ სამაგალითოდ უნდა იცოდეს. წარმოდგენების დროს ამერიკაში სუფლიორი სულაც არა ჰყავთ.

აი, ასე მომზადებული დასი იწყობს პიესის წარმოდგენას. თუ პიესა ნიუ-იორკში საზოგადოებას მოეწონა, იმპრესარიოს ეჭვი აღარა აქვს, რომ სხვა ქალაქებშიაც დიდი გასავალი ექმნება ამ პიესას. ყველა ქალაქში რამდენჯერმე ადგენენ, ზოგან 40—50 ჯერ და ამ რიგად ამერიკის ქალაქებს შემოივლიან ხოლმე ამ ერთი პიესით.

უშესანიშნავესს არტისტად ამერიკაში დღეს ჯოზეფ ჯეფფერსონი ითვლება. ოცდაათი წელიწადია, რაც ჯეფფერსონი საოპერო ხელოვნებას ემსახურება. მაგრამ ამასთან ამ 30 წლის განმავლობაში ორის პიესის გარდა, სხვა არც ერთ პიესაში არ მიუღია მონაწილეობა. ეს ორი პიესა არის „Rivals“-ი და „Ripzvan Winkle“—შერიდანისა. როდესაც ჯეფფერსონი თამაშობს, თეატრი ყოველთვის ხალხით არის ხოლმე სავსე. ამ ჟამად ჯეფფერსონი მილიონერია.

სხვა არტისტებს შორის უფრო შესანიშნავნი არიან მანსფილდი და გუდვინი. ოდესღაც ეს არტისტები უბრალო ცირკებში თამაშობდნენ, მაგრამ შემდეგ, თავიანთის ნიჭის წყალობით, გზა გაიკაფეს და დღეს საზოგადოების საყვარელ არტისტებად ითვლებიან. მანსფილდი ერთად-ერთი შესანიშნავი არტისტია მგონი ამერიკაში, რომელიც ყოველს წელიწადს ახალსა და ახალს პიესაში იღებს ხოლმე მონაწილეობას. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოება მანსფილდის მიერ არჩეულ პიესას არ იწონებს და არტისტის თამაშს ცივად ეგებება. ასეთ შემთხვევებში მანსფილდი დაურიდებლად გამოდის სცენაზედ და საზოგადოებას ეუბნება, რომ ნამდვილი ხელოვნებისა არაფერი გესმით და ამიტომ არტისტის დაფასება არ შეგიძლიანთო. როგორც ვსთქვით, მანსფილდი საყვარელი არტისტია და ასეთ საქციელს საზოგადოება ყოველთვის აპატიებს ხოლმე.

არტისტ ქალებს შორის ამერიკაში უფრო ცნობილნი არიან ადა რეგანი, კლარა მორრისი და მოდ ადამსი. უხნესი ამათ შორის კლარა მორრისია (70 წლისაა). ყველაზედ მეტად საზოგადოებას ეს მსახიობი ქალი მოსწონს. ამ ბოლოს დროს მორრისი ძალიან დასუსტდა; ხშირად წარმოდგენის დროს მორრისი სცენას თავს ანებებს და კულისებში მიდის წამლის დასალევად. მოდ ადამსი სულ ახალგაზდა ქალია. მხოლოდ სამი წელიწადია, რაც სცენაზედ თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში ერთის პიესის გარდა სხვაში მონაწილეობა არ მიუღია.

ყურადღების ღირსნი არიან აგრეთვე არტისტი ქალები პოტტერი და ლესლი-კერტერი. პოტტერი მდიდარის ამერიკელის ცოლი იყო. ნიუ-იორკში პოტტერს ერთი უმნიშვნელო არტისტი შეუყვარდა, ქმარს თავი მიანება და სცენაზედ შედგა. ლესლი-კერტერის ქმარიც მილიონერი იყო. ამანაც სიყვარულის გამო მიჰყო ხელი არტისტობას.

ამერიკაში ყველაზედ მეტად საზოგადოებას რომანებიდგან გადმოკეთებული პიესები მოსწონთ, ისეთი, როგორიც, მაგალითად, „ტრილბია“. სიმბოლიურ პიესებს სულ არა აქვს გასავალი. გაუპტმანის დრამა „ჰანნელე“, მაგალითად, მეორედ რომ წარმოადგინეს, თეატრი ცარიელი იყო, თუმცა ამ პიესამ ევროპაში დიდი სახელი გაითქვა. ამერიკელები მაგრე რიგად არც კლასიკურ პიესებს ეტანებიან. შექსპირის ტრაგედიებს, მაგალითად, იქ ძალიან იშვიათად არდგენენ.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგინა ანგარიში და როგორ, არც ეს ვიცითო". უკრებამ განიხილა ანგარიში, რომელზედაც ოთხი გამგეობის წევრიდგან ერთის მეტს არ ეწერა ხელი და რომელიც მე, როგორც გამგეობის წევრმა, არ კიდეც ვიცოდი ვინ იყო შედგენილი, და მგონი არც თითონ საზოგადოებამ იცოდაო". თქვენ დიამოდენა ტყუილები! აბა დააფიქრდით, რას ამბობთ. გამოდის, რომ თქვენ გამგეობის წევრი ბრძანებულხართ და თქვენდა დაუკითხავად დეპოში ვიღაც შესულა, ანგარიში მოუმზადებია და თავის მიერ ხელმოწერილი საზოგადო კრებისთვის წარუდგენია დასამტკიცებლად; კრებას მიუღია ანგარიში, მაგრამ ვინ ყოფილა მისი შემდგენელი, ეს ვერ გაუგია! დახეთ თავხედობას! ეს ვინ გამოჩენილა, რომელიც არც გამგეობის წევრებს ეკითხება, არც საზოგადო კრებას უცხადებს თავის ვინაობას და არც თვით კრებას ესმოდა რას იხილავდა? ამაზე მეტი-და აბუჩად აგდება შეიძლება? მაგრამ მოითმინეთ ცოტა, ბ-ნო იროდიონ! თქვენ ხომ გაგიგონიათ ქართული თქმულება: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმათაც დაშავებისო". სწორედ ასე მოგივიდა მე თქვენ გამო: აქამდის მე ვაშავებდი უთქმელობით; ახლა-კი, რადგანაც თქვენ მაიძულებთ, ვიტყვი, მხოლოდ ნურას უკაცრავად, თუ ეს თქმა თქვენთვის საწყენი გამოდგეს.

გასულ 1898 წლის 20 ნოემბრის საგანგებო კრებაზე რამდენისამე კაცის წინადადებით თქვენ აგირჩიეს მაჩხაანის დეპოს გამგეობის წევრად. იმ კაცების რწმენა ის იყო, რომ თქვენ დეპოსთვის სასარგებლო იქნებოდით. სამწუხაროდ, თქვენ ისე მოიქეცით, რომ არა თუ საზოგადოების გარეშე წევრები, არამედ თვით ისინი, რომელთა წინადადებით თქვენ არჩეულ იქმენით, დეპოს საქმეში თქვენი წინააღმდეგნი გახდნენ. ისინი იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ თქვენ დეპოსთვის იყავით სრულიად მეტი ბარგი. ხომ კარგად გახსოვთ ის ამბავი, როცა სარევიზიო კომისიის წევრებმა მოგიწვიეს თქვენ ჩემ სახლში და გამოგიცხადეს, რომ უმჯობესი იქნება და დეპოს გარემოება მოითხოვს, რომ თქვენ თავი დაანებოთ დეპოს გამგეობის წევრობასო. მოიგონეთ, რა პასუხი მიეცით თქვენ ამ წინადადებაზე. თქვენ გადაჭრით უპასუხეთ: „მე გამგეობის წევრი ვარ და ჩემი გადაყენება მარტო საზოგადო კრებას შეუძლიან, თქვენ ამის უფლება არა გაქვთო". მაშინ სარევიზიო კომისიამ დაადგინა: დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას საგანგებო კრებაო. კრება მოვიწვიეთ და სწორედ ერთი დღის წინ კრებისთვის დანიშნული კვირისა თქვენ, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ კრება გამგეობის წევრის მოვალეობისაგან დაგითხოვდათ, ინებეთ დეპოში მობრძანება და ჯერ მე და შემდეგ სარევიზიო კომისიის წევრთ გამოგვიცხადეთ: „რაღა საჭიროა კრების მოწვევა, მე თავს ვანებებ, მხოლოდ ერთი ათი დღის ჯამაგირი მაინც მომეცითო". მოიგონეთ, ასე იყო, თუ არა? თქვენი განცხადება და თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა, და კრება აღარ მოვახდინეთ. აპრილის ათამდის ჯამაგირი სრულად მიიღეთ, ხოლო მარტის გასულიდგან გამგეობის წევრად აღარ ითვლებოდით, და ცოტა არ იყოს სასაცილოა, რომ თქვენ კიდევ დეპოს გამგეობის წევრს უწოდებთ თქვენს თავს. დარწმუნდით, რომ თქვენს გარდა გამგეობის წევრად თქვენ არავინ არა გთვლით. რასაკვირველია, ამაში არ არის ისეთი რამ, რაც თქვენ გამცირებდეს ან გამაღლებდეს. და თუ მართლა ასე სასახელოდ მიგაჩნდათ ეს მოვალეობა, სულ სხვანაირად უნდა მოქცეულიყავით. საკვირველია, თქვენმა მზემ: თუ დღეს კიდევ თქვენ დეპოს გამგეობის წევრად სთვლით თავს და ამ მოვალეობისაგან სრულიად განთავისუფლებულად არ მიგაჩნიათ თავი, რატომ დეპოში არ ბრძანდებით და თქვენს მოვალეობას არ ასრულებთ? თქვენ მე ცილს მწამებთ და ბრალსა მდებთ, რომ არ მომიწვევიხართ ანგარიშის დროსო. სირცხვილია ასეთი აშკარა ცილის წამება! ვთქვათ, მე მართლა არ მოგიწვიეთ (თუმცა მართალია, რომ კაცი გამოგზავნე), მაგრამ თუ მართლა გამგეობის წევრადა სთვლით თქვენ თავს, რადა მოწვევა გჭირდებათ? თქვენ სხვები უნდა მოგეწვიათ და არა სხვებს უნდა მოეწვიეთ თქვენ. მაშ მე ვიღას უნდა მოვეწვიე ანგარიშის დროს? განა ასე გესმით თქვენ გამგეობის წევრის მოვალეობა? და კიდევაც იმიტომ თქვენ წერილის ბოლოს ხელს აწერთ, როგორც მაჩხაანის დეპოს გამგეობის წევრი, მაგრამ არც გამგეობამ და არც საზოგადოებამ არ იცის, თქვენ დღეს სად იმყოფებით. უთუოდ კარგი გამგე იქნებით, თუ ასე სტოვებთ ხოლმე ნაკისრებ საქმეს. სწორედ შესაბრალისია ის კაცი, რომელიც ასე აშკარად დასცინის თავისს თავს.

კარგი, ვსთქვათ თავის შესახებ თქვენ შეგეძლოთ ის გეთქვათ და ის გეფიქრებინათ, მაგრამ რომელი საბუთის ძალით ამტკიცებთ, რომ დანარჩენი ორი გამგეობის წევრიც არ ყოფილა მოწვეული ანგარიშის დროს? ნუ თუ თქვენ არ იცოდით, რომ ერთი იმათგანი, სახელდობრ ივანე ნოდ. გოშმელაური ანგარიშების და კრების დროს მძიმე ავადმყოფობის გამო ლოგინად იყო ჩავარდნილი? ხოლო რაც შეეხება მეორე წევრს გამგეობისას, ბ. ნ. მ. პოპიაშვილს, ეს უკანასკნელი ცალკე ბარათით იყო მოწვეული კრებაზე ერთი კვირის წინ კრებამდის. მართალია, ის არ იყო მოწვეული როგორც გამგეობის წევრი, მაგრამ ეს უფლად უაზრო იქმნებოდა, რადგანაც ბ-ნი პოპიაშვილი ისე, როგორც თქვენ, ბ-ნო ხოსიტაშვილო, უკვე რამდენიმე თვეა, რაც გამგეობის წევრათ აღარ ითვლება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის ამით დიდად და დიდად კმაყოფილია და თქვენ კი ბრაზობთ. რისთვის აღარ ითვლება პოპიაშვილი გამგეობის წევრად, ეს რამდენიმედ თქვენც უნდა უწყოდეთ და თუ მაინცა-დამაინც ამის გაგება გაინტერესებათ, როგორც გამგეობის წევრს, შეგიძლიანთ გადაათვალიეროთ ჩემი კრეული მოხსენება ამ საგანზე სარევიზიო კომისიისადმი. და თუ მასაც აქვს გამბედაობა, რომ თავის თავს გამგეობის წევრად სთვლის, რა ვუყოთ, ზოგიერთ მოლექსეს ბაირონიც კი ჰგონია თავისი თავი, მაგრამ ამასთან ის ხომ ვერ ჩამოვახსნით.

არ შემიძლიან სულ უყურადღებოთ გავუშვა კიდევ ერთი გარემოება. თქვენ ბრძანებთ: „ოქმი საგანგებო კრებისა (რომელიც მოხდა მარტში კი არა, როგორც თქვენ, გამგეობის „წევრს", გვონიათ, არამედ ამა წლის 26 თებერვალს) მქონდა მე, როგორც გამგეობის წევრსო". (მე განგებ ვუსვამ ხაზს უკანასკნელ სიტყვებს). განა თქვენ თითქმის ხუთი თვის განმავლობაში იმიტომ ინახავდით ოქმს სახლში, რომ თქვენ დეპოს გამგეობის წევრი იყავით? ეს რომ მტკნარი ტყუილი არ იყოს, თქვენ ახლაც უნდა გქონდეთ დეპოს დავთრები და საბუთის ქაღალდები. თქვენის აზრით, დეპოს ყველა გამგეობის წევრს შეუძლიან ყველა დავთრები აიღოს ზურგზე და შინისაკენ გასწიოს. მაგრამ ეს ასე როდია: ასეთ ქაღალდებს ზურგით და ჯიბით არავინ არ დაატარებს, არამედ ერთ განსაკუთრებულ ადგილას ინახავს. მაშ როგორ მოხდა, რომ ის საბრალო ოქმი თქვენს უბეში განისვენებდა რამდენიმე თვის განმავლობაში? ამას ადვილად ავხსნით, თუ მოვიგონებთ, რომ თქვენ იმ კრებაზე მდივნათ იყავით არჩეული და ამიტომ მოვალე იყავით ოქმი მაშინვე მოგეთავსებინათ დეპოს დავთრებში ჩასაკერებლათ. მაგრამ თქვენ ასე არ მოიქეცით. რის კაი-კაცობაზეც შემდეგ, როგორც იყო, ამ ერთი თვის წინეთ გადაეცით ჩემგან გამოგზავნილ კაცს რაღაც ნაგლეჯ-ნაწყვეტ კარანდაშით ნაჯღაბნი ქაღალდები ბარათით, რომელშიაც მწერდით: „გადაწერისთვის არ მცალიაო". ასე იყო თუ არა? ხომ გახსოვთ? ამას განმარტება აღარ სჭირია.

ასე და ამ გვარით. მე არ ვეხები თქვენი წერილის უაზრობას, უღლიგობას და წინ დაუხედაობას,—ეს მეტის მეტი წვრილმანობა იქმნება ჩემის მხრით. დასასრულ, ხი ამას მოგახსენებთ: დიდად და დიდად გმადლობთ, რომ იმის საქმეებზე თქვენ გამომიწვიეთ, რაც ზევით მოგახსენეთ და რაც მოვალე ვიყავი აქამდის მეთქვა, და თუ არ გამბობდი, კარგად უწყით, ვისი პატივისცემისთვის, მაგრამ არა უშავსრა, მე მაინც დიდად გმადლობთ და ვისურვებ თქვენს კეთილად წარმატებას.

გამგე მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოებისა ფ. მახარაძე.

### გამოსადეგი ცნობა

მრავალის გამოცდილებით გამორკვეულია, რომ ყველა ისინი, რომელნიც ზღვით სიარულის დროს ბევრს ხახვს სჭამენ, ზღვის სენით აღარ ხდებიან ავად. ეს სენი ადვილად გაივლის ხოლმე პირველ დასაწყისს, თუ საჭმელად კომბოსტოს ძმი იხმარეს, რომელსაც ხიდრი მრავლად აქვს ჩატანებული.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო". სასამართლოს კრება დაიწყო 6 საათსა და 40 წუთზედ. ლაბორიმ განაცხადა, მივიღე ამბავი, რომ შვარც-კოპენი და პანიცარდი, პოლიტიკურის მიზეზებისა გამო, ვერ გამოცხადდებიან რენნში, მაგრამ იმ კომისიას-კი მიუგზავნ, რომელსაც სამხედრო სასამართლო ჩვენების ჩამოსართმევად იქ გაგზავნის, სადაც ისინი სცხოვრობენო. ლაბორიმ მოითხოვა, რომ კომისია ტელეგრაფით გამოელაპარაკოს შვარც-კოპენსა და პანიცარდის. პოლეოლოგმა სთქვა, რომ დელკასე კომისიას გაგზავნის, ტელეგრაფით გამოლაპარაკება შეუძლებელიაო. თავმჯდომარეც შეუძლებლად სთვლის ამას. კარიერმა მოაგონა სასამართლოს, რომ საქმის განხილვა არ უნდა დააყოვნოთო.

სასამართლომ შემდეგ კოშფერს ჩამოართვა ჩვენება. მოწმემ სთქვა, რომ დრეიფუსი შეკრთა, როდესაც წერის დროს დიუ პატი გამოელაპარაკა, ხოლო როდესაც რევოლვერი დაინახა სტოლზედ, წამოიძახა: „არ მინდა თავი მოვიკლა, მე მსურს დავამტკიცო, რომ უდანაშაულო ვარო".

ლაბორიმ წარუდგინა სასამართლოს თავისი დასკვნა, ამ დასკვნაში ჩამოთვლილია, რა უნდა გამოჰკითხონ შვარცკოპენსა და პანიცარდის, სახელდობრ: როდის მიიღეს ბორდერო; საბუთის ქაღალდები რას შეიცავენ და სხვა.

მერსიემ, უარ ჰყო რა ფრეიშტეტერის ჩვენება, გაიმეორა თავისი ნათქვამი პანიცარდის დეპეშის შესახებ. ამასთან სთქვა, რომ ფრეიშტეტერს მადაგასკარში ყოფნის დროს რამდენჯერმე სულითავადმყოფობის ნიშნები გამოიჩინაო.

სასამართლომ, განიხილა რა ლაბორის დასკვნა, განაცხადა, მხოლოდ ჟუოს შეუძლიან მიჰმართოს იმ კომისიას, რომელმაც ჩვენება უნდა ჩამოართვას შვარცკოპენსა და პანიცარდისო. ჟუომ განაცხადა, მე არა მსურს ამ კომისიას მივმართოო (აღელვებაა).

9 საათსა და 50 წუთზედ კრება შეაჩერეს.

10 ს. 15 წ. კარიერმა დაიწყო გამამტყუნებელი სიტყვა. მცირე წინასიტყვაობის შემდეგ, რომ ჩემი მოვალეობა დამშვიდებით, ზომიერად და სრულის სამართლიანობით უნდა შევასრულოვო, და საქმის ისტორიულად განხილვის შემდეგ, ბრალმდებელმა მოაგონა დამსწრეთ, როგორ გული დასწყდათ აფიცრებს, როცა გაიგეს, რომ მოღალატე დრეიფუსი არისო. კარიერი არ შეეხო ქაღალდის თამაშობისა და ქალების შესახებ მითქმა-მოთქმას, რადგან, უამისოდაც შეიძლება საქმის გამორკვევაო. ტეხნიკურად გაარჩია რა ბორდერო, კარიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რადგან ამ საბუთის ქაღალდში შენიშვნა არის საშველ ჯარის შესახებ, ამის ავტორი ბიუროს წევრი უნდა ყოფილიყოვო. მადაგასკარის შესახებ შენიშვნა ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბორდერო უთუოდ აგვისტოშია დაწერილიო. კარიერმა სთქვა, რომ დრეიფუსისთვის უფრო ძნელი არ იყო სროლის შესახებ სახელმძღვანელოს შეძენა, ვინემ ესტერგაზისთვისო. კარიერის აზრით, 25 აგვისტომდე დრეიფუსს შეეძლო ეფიქრნა, რომ ადლუმზედ წავალო. რაც შეეხება იმ ხელს, რომლითაც ბორდერო არის დაწერილი, ისა ჰგავს დრეიფუსის ხელს, მისი ძმის მათე დრეიფუსისა და ესტერგაზისასო. დრეიფუსს შეეძლო ხელი მიემსგავსებინა თავისი ძმის ანუ ესტერგაზის ნაწერისთვისო. კარიერმა სთქვა, რომ ესტერგაზს არ შეეძლო ძვირფასი ცნ... ბები მიეცა, როგორც, მაგალით... ცნობები რკინის გზების შე... ბრალმდებელმა დაასახელა საიდ... ლო „dossier"-ის რამდენიმე ბუთის ქაღალდი, მოიხსენია... ისინი მხოლოდ ნომრებით, და... ნაცხადა, რომ მინდა მოვიხ... ნიო მხოლოდ ერთი ფრაზა: ... მშვიდობიანობააო". კარიერმა და... ძინა: „იცით, ვისი დაწერილია ესა... (მოძრაობაა). კარიერმა ის დასკ... გამოიყვანა, რომ დრეიფუსს დამ... კიდებულება ჰქონდა უცხო სახე... მწიფოსთანაო და ეს არის მის წინა... მდეგ გამამტყუნებელი საბუთიო.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო". ... წამსაც კარიერი ფეხზედ წამოდ... სიტყვის წარმოსათქმელად, ყვე... აფიცრებმა, რომელნიც მოწმეთა რ... ცხვში იყვნენ, დარბაზი დასტოვე...

27 აგვისტო.

**რენნი.** განგრძობა სასამართლ... სხდომისა. კარიერი არღვევს პიკარ... გამოძიებას, იმ აზრით დაწყებულ... რომ დრეიფუსის უდანაშაულ... იქმნას დამტკიცებული, და წ... სდებს პიკარის ესტერგაზის მიმარ... მოქმედებას. თან დასძენს, რომ თ... მცა ესტერგაზი დიდად ღირსეუ... კაციც არ არის, მაგრამ ღალატ... მხრივ-კი იმისი წინააღმდეგი არა... თქმის რაო. როდესაც პიკარის ს... რალმდებლო წერილი წავიკითხ... ასე მეგონა, შეიძლება დრეიფუს... გამართლება და მისის უდანაშა... ლობის დამტკიცება მეთქი, მაგრა... სამწუხაროდ, პიკარის წერილს ნა... ლი ჰქონდა,—მან ვერ დაამტკი... დრეიფუსის უდანაშაულობა. მოწმ... თა ნაჩვენებამ და საიდუმლო doss... er-ის წაკითხვამ სავსებით დამარწმ... ნა, რომ დრეიფუსი დამნაშავე იყ... დასასრულ კარიერი ამბობს: „ჩემ... სინიდისის სიღრმიდგან გეუბნებ... რომ დრეიფუსი დამნაშავეა. გთხოვ... მისის განსამართლების დროს სის... ლის სამართლის კანონთა კრებულ... მე-76 მუხ. იხელმძღვანელოთ". (ხ... ნგრძლივი მოძრაობაა).

ხვალინდელი სხდომა დათმობი... ექმნება დემანჟის სიტყვას, რომ... ლიც დრეიფუსის დასაცველად იქმნ... წარმოთქმული. გასვლის დროს ლა... ბორიმ ხელი ჩამოართვა დრეიფუ... და უთხრა: „გამხნევდითო"...

**პრეტორია.** ტრანსვაალის მთა... რობის თხოვნით, ინგლისის პრე... რიელი წარმომადგენელი შეეკით... კონსკი ახალშენის გუბერნატო... მილნერს: „არ შეიძლება გაგვაგე... ნოთ მიზეზი ინგლისის ჯარის მობ... ლიზაციისა ტრანსვაალის საზღვარზ... ზედაო".

**კონსტანტინეპოლი.** ჩერნოგო... რიის მთავარი და მთავრინა გამგზ... ვრნენ პირეიში.

განცხადებანი

იყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვ... საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
для начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА
ფასი 50 კ. (15—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.